სამშაბათი, თებერვლის 18 1919 წ. ფასი ათი შაური. № 20.

ყოველ დღიური მესამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია

საგაზეთო მასალა ისეთ იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოხერხებით.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიზხაძის ს., ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 39.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 10 მან. 3 თვით 25 მან. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტხა პირველ გვერდზე 1 მ. უკანასკნელზე 50 კ. ქალაქ გარეთან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოეულ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 20 მ., 12 საათის შემდეგ 25 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

ყოველ დღიური გაზეთ

„ჩვენი ქვეყანა“-ზე

გაზეთის ფასი: ერთი თვით 10 მან. სამი თვით 25 მან. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდის.

ღრმათ დამწუხრებული ნინა თომის ასული შერვაშიძისა, დესპინე ანტონის ასული დიდიასი ნადია თომას ასული წულუკიძის და პლატონ გიორგის ძე წულუკიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის პანაშვიდი

პოლკოვნიკ მიხეილ ლევანისძე შერვაშიძისა

დანიშნულია ქუთ. თავარ-ანგელოზის ეკლესიაში, სამშაბათს 18 თებერვალს ნაშუადღევის 1 ს საათზე.

დღეს, სამშაბათს, 18 თებერვალს, საღამოს 6 საათზე

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის ბინაზე მოხდება

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

ყველა კომიტეტების წევრებისა და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების

შეერთებული კრება.

გასარჩევია ფრიად საჩქარო საკითხები.

განცხადება.

ქუთაისის ვაჭარ მრეწველთა საბჭო ამით გატყობინებსთ, რომ 25 თებერვალს ახალი სტილით ქუთაისში საერთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის ბინაზე დილის 10 საათზე დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოლქის ვაჭარ მრეწველთა

საზოგადო კრება

კრების მიზანი არის:

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ზალატის ათი წევრისა და სამი მათი კანდიდატის არჩევა.

თანასმაო საარჩევნო ინსტრუქციის მეორე პარაგრაფისა არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ვაჭარ მრეწველს განურჩევლათ სქესისა ხნოვანობით არა ნაკლები 21 წლისა, რომელთაც მიმდინარე წლის პირველ იანვრიდგან აღებული ექნება სავაჭრო მოწმობა.

ქუთაისის ვაჭარ მრეწველთა საბჭო.

10—4

ქუთაისის მესამე საგაყო გიმნაზიაში

თავისუფალია ფრანგული ენის

მასწავლებლის ადგილი

თხოვნები მიიღება გიმნაზიის დირექტორთან ამა წლის ოც თებერვლამდის.

2—2

განცხადება

ქუთაისის საერთო განათლების უფლებიანი კურსები, დამტკიცებული კავკასიის სამოსწავლო ოლქის მიერ და დადასტურებული საქართველოს მთავრობის მიერ № 1037 1919 წლის 7—თებერვლის თარიღით (ახალი სტილით), გადავა ახალ ბინაზე: თბილისის ქუჩა, დარისპან ჯანელიძის სახლი, სადაც მოთავსებულია კოლეგიის, თავისუფალი რვა—კლასიანი გიმნაზია. სწავლა ხსენებულ დღეს დაიწყება 5 საათიდან.

მესამე „ეიპუსკი“ მოხთება მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

გამოცდები დაიწყება 1 ივანობისთვეს.

კურსების გამგე: დ. ს. მხეიძე.

1—1

რა გვიშველის?

დამფუძნებელი კრების არჩევნები გათავდა.

ვად თუ კარგად, ძალზა განაწილებამ თავისი შედეგი წარმოშვა, თავისი დასკვნა გააკეთა.

ხმები ჯერ დათვლილი არ არის, მაგრამ წინდაწინვე შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დამფუძნებელ კრებაში ეროვნულ-დემოკრატიას მეორე ადგილი ექნება.

და, სოციალ დემოკრატიას თუ უმეტესობა ეყოლება, არ გაგვიკვირდება: მის ხელშია მთავრობა, კომისრები, ფული, აუარებელი პროპაგანდისტი, პარტიული გამოცდილება, დემაგოგია და სხვა საარჩევნო საშუალებანი.

და, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ: ეროვნულ-დემოკრატიას რომ თანასწორი ორგანიზაცია ჰქონებოდა, ერთი სამად მეტ დეპუტატს გაიყვანდა.

სოციალისტ-ფედერალისტებსა და სოციალისტ-რევოლიუციონერებს კი ფუჭად ჩაუარათ მათი ინტელიგენტური ძალების სიმრავლემ და მათმა სოციალისტ-რევოლიუციონურმა ქადაგებამ!

ხალხი მიჰყვება სოციალ-დემოკრატიას, რომელიც კერძო საკუთრებას ზეიმულად მალულად, უჩინრადა უთხრის ძირს, ცხადად კი ფიცულობს, კერძო საკუთრებას ხელშეუხებლად ვსტოვებო. იმავე დროს სოციალ-დემოკრატია ადგილებს გულის სიღრმეში ფერფლ ქვემ მიმალულ წოდებრივი შურისძიების ცეცხლს.

მაშასადამე არჩევნებმა ცხადად დაგვანახვა, რომ ჩვენს ხალხს—კერძო საკუთრების პრინციპი სწამს და არცერთს პარტიას, რომელსაც კი სოციალიზმი, ე. ი. კერძო საკუთრების უარყოფა მიზნად დაუსახავს, დიდი ხნის სიცოცხლე არ ექნება.

ერთი სიტყვით, ცხოვრების მიმდინარეობა სოციალიზმისკენ კი არა, არამედ კერძო საკუთრებისკენ არის მიმართული.

და, სოციალ დემოკრატია თუ რეალურ პოლიტიკას აწარმოებს,—როგორც თვითონ ამბობს,—სოციალისტური პოლიტიკა უნდა უარჰყოს და კოალიციური მთავრობა უნდა შეადგინოს, რომელშიაც არასოციალისტებს ნახევარი ადგილი უნდა ჰქონდეთ დათმობილი.

ამასვე გვიკარნახებს საგარეო პოლიტიკა. დროა გავტყდეთ და შევისმინოთ, რომ საქართველო დღეს ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის კოალიციის გავლენის სფეროშია და მაშასადამე ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ ფაქტს, რომ ხსენებული სახელმწიფოების მთავრობანი სოციალიზმსა და ბოლშევიზმს ებრძვიან. და, მაშასადამე, ჩვენი მთავრობა თუ სოციალისტურიც იქნება, საქართველოს საზავო კონფერენციაზე წარმომადგენლები არ ეყოლება.

უკვე ვიცით, რომ ჩხენკელი,—ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენელი,—დღემდის ბერლინში ზის და მისთვის საფრანგეთში შესვლა აუკრძალავსთ. ვიცით აგრეთვე, რომ ჩვენი საზავო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობენ ცნობილი სოციალისტები—კარლო ჩხეიძე და კაკი წერეთელი—, კონსტანტინეპოლიდან არ გაუშვიათ, კარანტინში ზიან, რა-ღა! ამგვარად საქართველოს არ ეყოლება წარმომადგენლები საზავო კონფერენციაზე, მაშინ—როდესაც სომხეთსა და ადერბეიჯანს ეყოლებათ!

მეორე მხრით სოციალისტურმა პოლიტიკამ გადაგვამტერა სამაჰმადიანო საქართველო: მესხეთი და აჭარა-ქობულეთი და ჩვენმა ღვიძლმა ძმებმა ოსმალეთის ასკერების დახმარებით ჯერ ბათონის მხარე მოგვგლეჯეს, ახლა კი ახალციხე დაწყურია.

დიალ! სოციალისტური პოლიტიკით მოვიმდურეთ გარეთ ევროპა და შინ საგაჰმადიანო საქართველო!

მაშ რაა საჭირო? რა გვიშველის?

სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ხელი უნდა აიღოს სოციალისტურ პოლიტიკაზე და უნდა შეადგინოს კოალიციური მთავრობა, რომლის შინაურ პოლიტიკასაც საფუძვლად უნდა დაეღოს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და თავისუფლება.

თუ ხსენებულ პარტიას პატრია (მამული) ურჩევნია, ასე უნდა ქნას! და, თუ გაჯიუტდება და ძველს, შემცდარ აზრს არ დასტოვებს, თვითონაც დაიღუპება და საქართველოსაც უფსკრულში გადაჩეხავს.

დასასრულ, ერთი დიდი მოვალეობა უნდა შევახსენო, როგორც მთავრობას, აგრეთვე კერძოდ ყველა მოქალაქეს. შავი ზღვის ნაპირის ერთი ნაწილი დაიპირა გადახვეწილი რუსებისაგან შედგენილმა ჯარმა, რომელსაც დენიკინი წინამძღვრობს. და ეს ჯარი, უეჭველია, საქართველოს დაპყრობას ლამობს. მაგრამ, იცი, მკითხველო, მისი შემოსევა რას მოგვიელენს?

ქვას ქვაზე აღარ დასტოვებს, ყველაფერს დასწვავს და აოხრებს და ქართველ ერს სრულიად აღგვის პირისაგან ქვეყანისა.

იმავე დროს მესხეთის მცხოვრებთ ჩვენი მცირე რაზმი უკუაქცია და ახალციხე აწყური დაიჭირეს.

საშიშარია! ! და გვწამს, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელიც კი ჯარში გაწვეულია, თავზე ლეჩაქს არ დაიხურავს, შინაურსა და გარეულ მტერს ღირსეულ პასუხს გასცემს და საშიშარლოს განსაცდელისაგან დაიხსნის.

ვასილ წერეთელი.

დამფუძნებელი კრების არჩევნები.

ჯერ გამოურკვეველი არის შედეგები დამფუძნებელი კრების არჩევნებისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ცხრილს ქუთაისის არჩევნებისას, რომელიც დღევანდელ ჩვენ გაზეთში იბეჭდება და იმ დიდძალ ცნობებს, რომელიც კერძოთ სოფლებიდან მოგვდის.

საერთოდ არ შეიძლება ითქვას თუ, რომელი პარტია გამოვა გამარჯვებული ამ არჩევნებში, მაგრამ სასწორი, რომ ჩვენსკენ იხრება ეს კი უტყუარი ფაქტია.

თუ ამ რამდენიმე თვის წინად მომხდარ არჩევნებში ხმების 3—5 პროცენტებს ძლივს ვღებულობდით, ახლა მდგომარეობა სრულიად შეიცვალა და 3—5% ნაცვლად ხმების 25—30 პროცენტებს ვღებულობთ. მართალია ეს ხმები არ არის უმრავლესობა, მაგრამ სხვანაირ შედეგებს არც მოველოდით; რადგანაც არჩევნები ჩვენში არ არის თავისუფალი და ყველგან ძალ-მომრეობას აქვს ადგილი.

ესეც არ იყოს ჩვენი პარტია ჯერ ახალი პარტიაა, მას არა აქვს ყველგან მტკიცე ორგანიზაციები და რაც უმთავრესია არჩევნების საწარმოებლად — ფული. თუ სოციალისტური პარტიები ავტომობილებითა და ეტლებით კალიებივით მოედვენ დაბა-სოფლებს, ჩვენ თითო პროპაგანდისტიც ვერ გაგვიგზავნია, რომ გლეხობისათვის ჩვენი პროგრამა განმარტათ.

მაგრამ ჩვენი წერილის საგანს ეს არ შეადგენს.

როგორც ზევით ვსთქვით, სოფლებიდან დიდძალი ცნობები მოგვდის სადაც აღწერილია სოც.-დემოკრატიული პარტიის ძალადობა და ყოვლად დაუშვებელი საქციელი.

ხსენებული პარტიის აგენტები სოფლად ხმებს ავრცელებდენ: თუ ეროვნულ-დემოკრატებს გამოუცხადეთ ნდობა, სოც.-დემოკრატიული პარტია აკანყდება და სამოქალაქო ომს მიჰყოფს ხელსო.

ასეთი ცნობები თითქმის ყველა სოფლებიდან მოგვდის.

ასეთი პროვაკაცია შეიძლება კერძოთ სოც.-დემოკრატების პროპაგანდისტების შეთხზული იყვეს, მაგრამ დაშინებული გლეხობა ყუთებთან ადარ მიდის და ამ რიგად ხმები იკარგება. ხმების დაკარგვას კი ის მოჰყვება, რომ არჩევნებში ამომრჩეველთა უმცირესი ნაწილი მიიღებს მონაწილეობას და ამ რიგად დამფუძნებელი კრება უკანონოთ ჩაითვლება, რაც ეფრის ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის უარყოფას.

საერთოდ ასეთია მდგომარეობა, მაგრამ კერძოთ ჩვენი პარტიის საწინააღმდეგოთ სოც.-დემოკრატები არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა.

არის ისეთი სოფლები, რომელთა — მკვიდრი შეგნებული გლეხობა ნდობას მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატებს უცხადებენ, მაგრამ სწორედ ასეთ სოფლებში გაჩდენ სოც. დემოკრატების და სხვა ჯურის სოციალისტების მკლავაძეები; გლეხებს დაემუქრენ და კომისიის ის წევრები, რომელნიც ჩვენ თანაგვიგრძნობდენ კომისიებიდან იარაღის საშუალებით გააძეკეს.

არის ისეთი სოფლებიც. სადაც სოციალისტებს არაფერი გაუვიდათ და გლეხებს ურჩიეს, რომ ხმა მიეცათ რუსეთის სოც. დემოკრატიული პარტიის სიისათვის, რადგანაც თქვენ რუსეთიდან ჩამოშორების მომხრენი არა ხართო.

არის ისეთი სოფლები და ქალაქებიც სადაც სოც.-დემოკრატები ეტლებისა და ავტომობილების საშუალებით მიდიან ოჯახებში და მოტყვილებით დავრდომილთა ეშელონები მიჰყავთ ყუთებთან, რომ მათი სიები გაათეთრონ.

მაგრამ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?

საერთოთ სოციალისტები არჩევნების დროს ისეთ უკანონობას ჩადიოდენ, რაც ყოველად მიუტოვებელია და არღვევს მთავრობისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის კანონებსა და დებულებებს.

ასეთია ერთი თვალის გადავლებით დამფუძნებელი კრების არჩევნების მსვლელობა, მაგრამ ჩვენი პარტია ამ არჩევნებში შედარებით მაინც გამარჯვებული გამოვა. ამას მოწმობს თვით ქუთაისის არჩევნები, სადაც თითქმის გაჰქრენ სოც.-ფედერალისტები და სოც.-რევოლიუციონერები. სოც.-დემოკრატებმა წინანდელ არჩევნებთან შედარებით დაჰკარგეს დიდძალი ხმები და ეს ხმები ჩვენსკენ იხრება.

ქართველი ხალხი უკვე გამოფხიზლდა და სოციალისტური პარტიების მუქარა მათზე ისე ვეღარ მოქმედობს, როგორც უწინ.

ჩვენ ეს გვწამს და ველით ცნობებს თუ 14, 15 და 16 თებერვალს, როგორი იყო სიტყვა ჩვენი გლეხობისა.

ნელი.

სამაჰმადიანო საქართველო.

სამაჰმადიანო საქართველო და საქრისტიანო საქართველო ძმები არიან და მათი ერთმანეთისაგან ჩამოშორება შეუძლებელია.

როგორ შეუძლია საქართველოს იცოცხლოს, როგორც პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ერთეულმა, უბათუმოდ?

და როგორ შეუძლიათ ახალქალაქ-ახალციხის მხარეს და აჭარას მოსწყდენ ბათუმს?!

საქრისტიანოსა და სამაჰმადიანო საქართველოს აკავშირებს ერთმანეთთან არამარტო ისტორიული წარსული და ჩამოთავლობა, არამედ გეოგრაფიული და ეკონომიური ერთობაც.

მაშ რისთვის აგვიკანყდენ ჯერ აჭარა და ახლა ახალციხის მხარე? რისთვის მოინდომეს საქართველოს პოლიტიკურად მოკვლა?! რისთვის აგვაღებინეს ხელი ბათუმზე, ამ ერთადერთ ნავთსადგურზე, და მაშასადამე ჩაგვიკეტეს ზღვის კარი?

უეჭველია, ამის მთავარი მიზეზი — ოსმალეთი იყო. ოსმალეთი — საქართველოს ისტორიული მტერია: მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტესა და მეთვრამეტე საუკუნეებში მესხეთი და აჭარა მოგვწყვიტა და ძალით გაამაჰმადიანა. და დღეს, როდესაც ისტორიულმა განგებამ დიდი ხნიდან ერთმანეთს დაშორებული ძმები შეგვაერთა, ოსმალეთი ცდილობს საქართველოს ეროვნული სხეული კვლავ შუა გასჭრას და საქართველოს სული ამოართვას!

და აჭარლებმაც დაუჯერეს ოსმალებს და მათთან ერთად თავის ღვიძლ ძმას გულში ლახვარი ჩასცეს.

და საქართველოს მოწყდა ბათომი. მაგრამ ვის ხელშია დღეს ეს ნავთსადგური? ოსმალეთის ბატონობას საქართველოში აწ ვეღარ განმეორდება. ოსმალეთის დედაქალაქი სტამბოლი ინგლისის ხელშია. ოსმალეთს მოსწყდენ სამხრეთის პროვინციები, რომელთაც საკუთარი რესპუბლიკები დააარსეს (არაბეთი, სირია, პალესტინა). და ოსმალეთის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით მკვდრეთით აღსდგა ოსმალთაგან განადგურებული სომხეთი. მაშ რა-ღაა დღეს ოსმალეთი პოლიტიკურად? არაფერი.

და, უეჭველია, აჭარამა და მესხეთმა ისევ საქართველოსკენ უნდა მოიბრუნონ პირი.

ნუ დაუჯერებენ თათრებს! რა ძალა უნდა ჰქონდეს ახალციხის მხარეში შემოჭრილს თათართა ბრბოს, რომელსაც არცერთი დიდი სახელმწიფო მხარს არ უჭერს?! უეჭველია, საქართველო ამ ბრბოს განადგურებას სულ მალე შესძლებს!

რა უყოთ, შემთხვევით თუ ჩვენს მცირე რაზმზე გაიმარჯვეს? რა მნიშვნელობა აქვს შემთხვევითს გამარჯვებას?

უნდა გვახსოვდეს, რომ ამიერკავკასიაში ინგლისი არც რუსებს შემოუშვებს და არც ოსმალებსა და მაშასადამე დენიკინი ინგლისის ბძანებით იძულებული იქნება უკან დაიხიოს.

მეორე მხრით სამაჰმადიანო საქართველოს დიდი საქართველოს საზღვრებში ავტონომია და, მაშასადამე, საკუთარი პარლამენტები ექნება. ამგვარად მიწის, სარწმუნოებრივისა და სხვა შინაურ საკითხებს სამაჰმადიანო საქართველო თავისთვის თვითონ გადასჭრის.

მაშასადამე ყველაფერი ისე მოწესრიგდება, როგორც საქრისტიანო საქართველოსაც გამოადგება და სამაჰმადიანო საქართველოსაც.

ეს კია: სამაჰმადიანო საქართველოს საკითხსაც, როგორც ყველაფერს სხვას, ეროვნული-დემოკრატია უკეთ მოაწესრიგებს, ვიდრე სოციალ დემოკრატია.

მაშ, თუ გვსურთ, რომ, რაც შეიძლება, მალე და კარგათ დაბოლოვდეს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი და დამყარდეს მშვიდობა, როგორც საქრისტიანოს, აგრეთვე სამაჰმადიანო საქართველოში, ჩვენმა მთავრობამ ხელი უნდა აიღოს სოციალისტურ პოლიტიკაზე და, პირიქით, უნდა აწარმოოს რეალური, მიზანშესაბამი პოლიტიკა. რომელსაც საფუძვლად უნდა იდვას კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და თავისუფლება.

ქვერი.

სოჭის ოლქი.

საომარი მოქმედების შეწყვეტის პირობები.

ინგლისელმა ოფიცერმა სოჭაში ჩასვლისთანავე წინადადება მისცა შეეწყვიტათ საომარი მოქმედება და დაეწყოთ მოლაპარაკება. საქართველოს მთავრობამ შეატყობინა იქ მყოფ თავის რწმუნებულს, რომ საქართველოს მთავრობისთვის მისაღებია მხოლოდ შემდეგი პირობები: მოხალისეთა ჯარის მიერ დაცლა სოჭის ოლქისა, მისი სრული ნეიტრალიზაცია კონფერენციის გადაწყვეტამდე და ამ ხაზის დაკავება ინგლისის პიკეტების მიერ. საქართველოს ჯარი კი დაიჭერს საქართველოს ბუნებრივ სახელმწიფოებრივ საზღვარს გაგრის ჩრდილოეთით.

მდგომარეობა სოჭის ოლქში.

საომარი მოქმედება სოჭის ოლქის მხარეს შეჩერებულია. ინგლისის მისიის მიერ გაგზავნილი წარმომადგენლები ჩავიდენ იქ და გამართეს მოლაპარაკება. ჩვენი სამხედრო ძალები სდგას ბზიბას აქეთ. მოხალისეთა ჯარი კი იქით. მოლაპარაკების საგანია ის, რომ მოხალისეთა ჯარმა დასცალოს სოჭის ოლქი და იქ ჩადგნენ ინგლისელი პიკეტები. ჩვენი მთავრობის წინადადებით ჩვენი ჯარი გაჩერდება სოჭის ოლქსა და გაგრას შუა ვიწრო ყელთან, მოხალისენი კი უნდა ძველ ხაზზე გადავიდნენ, რომელიც თავდასხმამდე ეჭირათ.

ინგლისის პასუხი საგარეო საქმეთა მინისტრ გ. ა. გეგეჭკორის ნოტაზე.

ამას წინეთ ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ნოტები საგარეო საქმეთა მინისტრისა ინგლისის მისიისადმი, იმ ინციდენტების შესახებ, რომელსაც ჰქონდა ამ უკანასკნელ ხანებში ადგილი ჩვენში.

ამ ნოტაზე პასუხი უკვე მიღებულია და ჩვენ საშუალება გვაქვს მათი შინაარსი გავაცნოთ მკითხველს.

1) ბათომში ჩვენი წარმომადგენელი გედევანიშვილი ორჯერ არ მიიღო გუბერნატორმა, რაიკ ჩვენმა მთავრობამ შეურაცხყოფათ ჩასთვალა და წარმომადგენელი გამოიწვია.

ბათომის გენ.-გუბერნატორმა [illegible] წერილობითი ბოდიში გამოგზავნა [illegible] ხდარ გაუგებრობის [illegible] დევანიშვილს ებრძანა ისევ დარჩეს ბათომში ჩვენს წარმომადგენლად. 2) ჩოლოქთან ინციდენტი მოხდა შემდეგ გარემოებაში: ჩვენი მოსაზღვრე ჯარისკაცი ჩასულა ჩოლოქის მდ. წყლის ამოსატანად. იქ დახვედრია ინგლისელი პატრული, რომელსაც აუკრძალია მისვლა და სილაც გაურტყამს. ამის საპასუხოდ ჩვენ ჯარისკაცს თოფი უსროლია. ამან გამოიწვია სროლა ორივე მხრივ. გაუგია რა ეს ამბავი ინგლისის აფიცერს აღნიშნული პატრული დაუყონებლივ გაუწვევია ბათუმში და მის ალაგზე სხვა ჯარისკაცი დაუყენებია, რაც ეცნობა ჩვენს მთავრობას. 3) ფოთში ჩვენ ჯარს ინგლისელმა აფიცერმა ნება არ დართო გემის წასვლისა. ჩვენი ჯარი გაჩერებული იქნა მხოლოდ ერთი საათით, სანამ აფიცერი ტფილისიდან თავის მისიის პასუხს მიიღებდა. მისიამ, რასაკვირველია შეუთვალა აფიცერს, რომ მას ნება არა აქვს ჩვენ შინაურ საქმეებში ჩაერიოს. მისიამ აღნიშნული აფიცერი დაუყონებლივ გამოიწვია ფოთიდან. 4) როგორც აღნიშნული იყო გაზეთებში ახალციხეში გაგზავნილმა ინგლისელმა აფიცერმა წინადადება მისცა ჩვენ ჯარს წინსვლა შეეჩერებინა. ახლა ირკვევა, რომ აღნიშნული აფიცერი გადასცდა თავის უფლების საზღვარს. ინგლისის მისიის ბრძანებით იგი იყო გაგზავნილი გენ. მაზნიაშვილის განკარგულებაში. და თუ ის უწესოდ მოიქცეოდა ამას ინგლისის მისია ვერ გაითვალისწინებდა, აფიცერი დაუყონებლივ იქნა უკანვე გამოწვეული.

დეპეშები.

ინგლისის პრესის ცნობები.

საფრანგეთში ეხლა ხალხთა ლიგის შექმნაზე იმდენს არ მსჯელობენ, რამდენსაც დროებითი ზავის განახლების შესახებ. საფრანგეთის პრესას სახიფათოდ მიაჩნია შეთანხმების ჯართა დემობილიზაცია მაშინ, როცა გერმანიაში ჯერ კიდევ რამდენიმე მილიონი კაცი თოფ ქვეშ სდგას. ინგლისის აზრით დროებითი ზავის განახლების და საზავო ხელშეკრულების დადების მთავარი მიზანი არის: ევროპის განთავისუფლება მილიტარიზმისაგან. პირველათ უნდა განადგურდეს მილიტარიზმი გერმანიაში. არის ასეთი წინადადება: ეხლავე შეამცირონ გერმანიის ჯარი მშვიდობიან დროის რაოდენობამდე, რათა მოკავშირეებს შეძლება მიეცეთ უფრო სწრაფათ მოახდინონ თავისი ჯარის დემობილიზაცია. ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების აზრით, ეხლა მოსალოდნელი არ არის, რომ გერმანიამ სამხედრო მოქმედება განაახლოს. პირიქით, ფრანგული პრესა, თუმცა აღიარებს, გერმანია ერთობ მძიმე პირობებში იმყოფება, მაგრამ აღნიშნავს ეროვნულ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვების ტონს, რომელიც მოწმობს, რომ ხიფათი მოსალოდნელია.

სამხედრო კომისიაში საფრანგეთმა წარადგინა პროექტი, რომელიც შეიკავს წინადადებას შეიქნას დიდი საურთიერთო კავშირი ხალხთა ლიგის წევრ ქვეყნებისაგან. ამ კავშირის ყოველი წევრი მოვალე იქნება გაგზავნოს ჯარი ლიგის იმ წევრის დასახმარებლად, რომელსაც ესა თუ ის სახელმწიფო თავს დაესხმება. ფიქრობენ, რომ ამერიკა ამ პროექტის წინააღმდეგი არ იქნება.

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. 13 თებ. აღმოაჩინეს ესერების ახალი შეთქმულობა. უკანასკნელ ხანებში ჩრდილოეთის მემარცხენე ესერების საოლქო და პეტერბურგის კომიტეტი ავრცელებდა ლიტერატურას. ვილემსკში სცემდა გაზ. „ნაშ პუტ“-ს და აგიტაციას ეწოდა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ც. კომიტეტმა დაადატიმრა მემარცხენე ესერების თვალსაჩინო წევრი სპირდონოვა, რომლის საქმე გადაეცა ტრიბუ-

დამფ. კრების არჩევნების შედეგი ქ. ქუთაისში

ცენტრალური უბანი.

	№ 1	№ 2	№ 3	№ 4	№ 5	№ 7	№ 8	№ 9	№ 11	№ 13	№ 14	სულ
1 ყუთი	536	204	14	3	129	1	3	22	2	1	—	915
2 ყუთი	617	264	12	11	118	1	8	24	—	—	2	1057
3 ყუთი	542	234	13	7	125	2	11	39	4	—	—	977
სულ	1695	702	39	21	372	4	22	85	6	1	2	2949

სამთო უბანი.

1 ყუთი	743	255	16	13	104	—	12	11	4	1	2	1161
2 ყუთი	801	325	20	18	90	—	10	30	1	—	2	1297
3 ყუთი	1286	428	21	18	162	—	21	17	4	1	4	1962
სულ	2830	1008	57	49	356	—	43	58	9	2	8	4420

წყალგაღმა უბანი

1 ყუთი	1001	401	18	—	129	—	23	30	2	1	—	1605
2 ყუთი	854	408	17	—	191	—	33	29	3	—	—	1535
3 ყუთი	1113	453	20	—	170	—	16	27	1	1	1	1802
სულ	2968	1262	55	—	491	—	72	86	6	2	1	4942
სულ ყველა უბნებში	7492	2972	151	70	1219	4	137	229	21	5	11	12311
პროცენტები:	64.105	24.141	1.226	0.568	9.901	0.032	1.112	1.860	0.170	0.040	0.089	

ამ რიგად სოც.-დემოკრატებმა მიიღეს 7,492 ხმა, ეროვნულ-დემოკრატებმა 2,972 ხმა, სოც.ფედერალისტებმა 1,219 ხმა, მაშვრალთა პარტიამ 229 ხმა, სოც. რევოლიუციონერებმა 151 ხმა, ეროვნულმა პარტიამ 137 ხმა, დაშნაკელებმა 70 ხმა, უპარტიომ 21 ხმა, ესტეტ. ლიგა პატრიოტებისამ 11 ხმა, რუს. სოც.-დემოკრ. 5 ხმა, რადიკ. დემოკრ. 4 ხმა. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღო 25,500 ამომრჩეველს, ამათგან მონაწილეობა მიიღო 12,311ამომრჩეველმა.

ნალს, შტეინბერგი—ყოფილი იუსტიციის კომისარი, ტრუტოვსკი, რიბინი, პროკოპოვიჩი, როზენბლიუმი, სიროტა, კრონიკი და სხვები. ამათი საქმეც მალე გადაეცემა ტრიბუნალს, დაპატიმრებულნი სპირდონოვას ქალის გარდა, რომელიც კრემლში ზის, ბუტირის ციხეში ზიან. გუშინ აღმოაჩინეს მოსკოვში კონსპირატიული ბინა, რომელიც კრონიკს ეჭირა. ბინაზე ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს არალეგალური სტამბა და კრემლის კომენდატის ყალბი ბეჭედი.

ფრანგული პრესის ცნობები

პრესაში მოთავსებულია შემდეგ ცნობები იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიიღო უმაღლესმა სამხედრო საბჭომ დროებითი ზავის პირობების განახლების: 1) მარშალი ფოში წინადადებას მისცემ გერმანიას აასრულოს წინანდელი პირობები. გერმანელები ცდილობდენ დაეგვიანებიათ დროებითი ზავის პირობების შესრულება, ამ შემთხვევაში კი მას ამის ნება არ მისცემენ. გარდა ამისა, გერმანელებს აეკრძალება პოლონეთის წინაღმდეგ მოქმედება. გერმანიამ უნდა დაბანაკოს ჯარი მხოლოდ აღნიშნულ ხაზის აქეთ. 2) დროებითი ზავს განაახლებენ მხოლოდ მოკლე დროთი და მასთან ერთად მოკავშირეთ უფლება აქვთ შესწყვიტონ დროებითი ზავი, რომ ამით აიძულონ გერმანელები დააჩქარონ პირობების ასრულება. 3) როცა გაეცნობიან თავიანთ ტეხნიკურ დელეგატების გამოკვლევებს, მოკავშირეთა მთავრობები ახალ პირობებს წარუდგენენ გერმანიას, რომელიც მან უნდა მიიღოს დიდი ხნით,—შესაძლოა ზავის შეკვრამდე. ეს პირობები ისეთი იქნება, რომ გერმანია მშვიდობიანობას მომავალში ვეღარ დაარღვევს.

მთავრობის საბჭოს თავმჯდომარემ გუშინ მიიღო მარშალი ფოში, მარშალი პეტენი და გენერალი ვეიანანი. მათ ითათბირეს დროებით ზავის ახალ პირობებზე, რომელსაც გერმანიას წარუდგენენ.

გერმანული პრესის ცნობა.

დაპატიმრებული რადეკი ჩამოიყვანეს ავტომობილით, რომელზედაც ტყვიის მფრქეველები დადგეს იმ შემთხვევისთვის, თუ ბრბო დაესხმოდა. რადეკი ჯერ სამხედრო უწყებას ჩააბარეს, შემდეგ კი ციხეში მოათავსეს.

იმ პარტიების საერთო პროგრამის შესახებ, რომელთაგანაც შესდგა მთავრობა „ფორვერტსი“ სწერს, რომ პროგრამა დასრულებული არ არის ჯერ, მაგრამ საერთოდ შემდეგში გამოიხატება: გერმანიის ეროვნულ ყრილობის სუვერენულ უფლებათა აღიარება; სახელმწიფოს განმტკიცება ძალა უფლების ცენტრალიზაციით, მმართველობის სრული დემოკრატიზაცია, დემოკრატიულ საფუძვლებზე სახალხო არმიის შექმნა და მასში საბჭოების დატოვება ისეთი სახით, რომ ჯარმა დისციპლინის და მოვალეობის ასრულების უნარი არ დაკარგოს. მეურნეობის წარმოების დატოვება ძველი სახით, ვიდრე შრომის მოთხოვნილება და წინადადება არ გაუსწორდება ერთმანეთს, განსაკუთრებით სასურსათო სფეროში. ენერგიული მუშაობა მიმოსვლის და ეკონომიურ ცხოვრების აღსადგენათ, სოციალიზაციის აღიარება იმ სახით, როგორც ეს ებერტმა განსაზღვრა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში. ისეთი სოციალური პირობების შექმნა, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება: მუშაობა, უმუშევართა დასახიჩრებულ მეომართა უფლებები ზავის შეკვრა რაც შეიძლება მოკლე ხანში, ხალხთა ლიგის შექმნა, ახალშენების დაბრუნება და სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნება.

თავისთავად ცხადია, რომ პროგრამის საფუძველად ედება ძირითადი დემოკრატიული საფუძველნი: სიტყვის, პრესის, სინდისის, კრების, კავშირის თავისუფლება და საყოველთაო თანასწორი საარჩევნო უფლება.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

✦ **დამფუძნებელი კრების არჩევნები ქუთაისში.** ქუთაისში დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები უკვე გამოირკვა. სოც.-დემოკრატებმა № 1 მიიღეს 7492. ხმა ეროვნულ-დემოკრატებმა № 2—2972 სოც.-ფედერალისტებმა № 5—1219 მაშვრალთა პარტიამ № 9—229. ესერებმა № 3—151—ეროვნულმა პარტიამ №8—137 დაშნაკელებმა № 4—70 უპარტიო ჯგუფმა № 11—21, ესტეტიურ ლიგამ—11 ხმა რუს. სოც.-დემოკრ. № 3—5 და რადიკალ დემოკრატებმა № 7—4 ხმა.

✦ **არჩევნები ოფუჩხეთის საზოგადოებაში.** სოფ. ოფუჩხეთიდან ასეთ ცნობებს გვაწვდიან: არჩევნების პირველ დღეს თებერვლის 14 საარჩევნო ყუთთან ინციდენტი მოხდა. სორ.-დემოკრატების წარმომადგენლებმა ამომრჩეველებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბიულეტენები დაუხიეს და დაემუქრენ, რომ ეროვნულ-დემოკრატებს არ მისცეთ ხმაო. ამის შესახებ ჩვენმა წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს, მაგრამ უკანასკნელნი იარაღის საშვალებით კომისიიდან გამოაძევეს და ოქმებში ათასგვარი ჭორები შეიტანეს. ყუთებთან მხოლოდ სოციალისტები დარჩენ და როგორც უნდოდათ ისე მოიქცენ. მეორე დღეს, როდესაც ჩვენი წარმომადგენელი ავიდა ოფუჩხეთში მათ ბოდიში მოიხადეს და ოქმში შეტანილი ჭორები თვითონვე გააბათილეს. არჩევნების შედეგი მიუხედავათ ინციდენტისა ასეთია: სოც. დემოკრატებმა მიიღეს 143 ხმა, ეროვნულ დემოკრატებმა 80, ს. ფედერალისტებმა 44, ს. რევოლიუციონერებმა 15 და ეროვნულმა პარტიამ 1 ხმა. აღსანიშნავია რომ ამ საზოგადოებაში არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღო 1500 ამომრჩეველს, მაგრამ ამ ინციდენტების გამო გლეხები დაიშალენ და ხმები არცერთ პარტიას აღარ მისცეს.

✦ **პარტიული კრება.** დღეს თებერვლის 18 საღამოს 6 საათზე გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის ბინაზე მოხდება ეროვ. დემოკრატიული პარტიის ქუთაისში არსებულ ყველა საარაონო კომიტეტებისა და საარჩევნო კომისიების შეერთებული სასწრაფო სხდომა, კომიტეტებისა და კომისიის წევრებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

✦ **თავის მოკვლა** სოფ. ბობოთში თავის სახლში, თავი მოიკლა ირაკლი ჭუბაბრიამ. მიზეზი გამოურკვეველია.

✦ **ქურდობა** სოფ. ნახარებოვში გაქურდეს ბართლომე სულავა. ქურდები დააპატიმრეს.

✦ **დატუსაღება** გუბერნიის კომისრის განკარგულებით დაატუსაღეს სამ სამი თვით კარპე და სარდიონი ბეშკენაძეები

✦ **სავაჭროს დაკეტვა** გუბერნიის კომისრის ბძანებით დაუკეტეს პურლვინის სავაჭრო კლასი ნანშიაშვილისა, ვინაიდან იქ ხთებოდა ყოველგვარი უწესობები.

✦ **დაჯარიმება** ფულის ყიდვა გაყიდვისთვის ხუთას ხუთი მანეთით დააჯარიმეს მარდახა ციციაშვილი და აბრამ ფიზიკი.

პავკაველი გოლოვეიკები და ჩვენი მთავრობა

კავკავი მოკალისეთა ჯარმა აიღო, ამის გამო ბოლშევიკები გამოიქცნენ მათ და გაჩერდნენ ჩვენი საზღვრებიდან 30 ვერსის მოშორებით, მათში 600 ქართველია. ისინი თხოვენ ჩვენს მთავრობას, რომ შემოუშვან ჩვენ სახელმწიფოში. პირობას სდებენ, რომ 1) იარაღს აიყრიან და გადასცემენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, 2) თუ რაიმე აქვთ, მაგ. ხაზინა და სხ. ჩააბარებენ ჩვენ მთავრობას. მთავრობამ გადასწყვიტა: ყველა ლტოლვილი ქართველები და პოლიტიკური დევნილები განურჩევლად რწმენისა შემოუშვას, რაც აცნობა ჩვენს მოდარაჯე რაზმს ყაზბეგში. გუშინ დილით ამის გამო გაემგზავრა ავტომობილით სპეციალური კომისია ტფილისიდან. მათ ჩამოიყვანენ მცხეთაში, სადაც მოხდება მათი რეგისტრაცია, განაწილება და სხ. ამ საკითხის შესახებ ინგლისის მისიამ ის აზრი გამოსთქვა, რომ, ვინაიდან მოხალისენი და ბოლშევიკები ერთმანეთს არ ინდობენ და მხოლოდ ხოცავენ, ინგლისი პასუხს ვერ აგებს ბოლშევიკებს წინაშე ამდენი ხალხის გაწყვეტაში და მისიაც ჰფიქრობს, რომ ლტოლვილი ბოლშევიკები საქართველომ უნდა შეიფაროს. ინგლისელები თანახმა იყვნენ თვითონ მიეღოთ აქ გამოქცეული ბოლშევიკები, მაგრამ ჩვენმა მთავრობამ განუცხადა, რომ საქართველოში მიღება, თუ არ მიღება, ლტოლვილებისა მთლიანად საქართველოს მთავრობის საქმეა, რადგანაც იგი თავის სახელმწიფოს ტერიტორიაზე თითონ ბრძანებლობს.

უცხოეთი.

სტამბოლში

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ იანვრის გასულს და თებერვლის დამლევს შინაგან საქმეთა მინისტრის იზეთბეის ორდენით დაატუსაღეს მრავალი ცნობილი მოღვაწე კომიტეტის: „ერთობა და პროგრესის“ წევრები რიცხვით 25 კაცი, რომელიც მოათავსეს სახელმწიფო სატუსაღოში. დატუსაღებულთა უმეტესობა აფიცრებია. მათ შორის არიან: მაჰმუდ ქიამილ ფაშა, ვეჰიბ ფაშა, ჯევალ ბეი ენვერის ბიძა სეიფ ბეი, შერიფ ბეი და მიდხათ შუქრი ბეი. სავაჭრო და მიწათმოქმედების ყოფილი მინისტრი.

სოციალიზმი ბულგარეთში

ბულგარეთში სოციალიზმის იდეის გავრცელება დიდ შედეგებს აღწევს, სოფიაში გამოსულ მიტინგზე იღებდა მონაწილეობას 10.000 კაცი. კრებები იმართება ბულგარეთის სხვა ქალაქებშიაც. მუშათა შორის ძალიან გავრცელდა ბოლშევიზმის იდეა.

ვილჰელმის დაბადების დღე

ამედიჰენში სადაც სცხოვრობს ვილჰელმი თავის მეუღლით ვილჰელმის დაბადების დღეს გადაიხადეს სამადლობელი დღესასწაული. ვილჰელმის საცხოვრებელი ოთახები მორთული იყო ყვავილებით და თაიგულებით, რომელიც გამოუგზავნეს ვილჰელმის პატივისცემლებმა.

ამიერ-კავკასიის გაერთიანება

ბაქოს პროფესიონალურ კავშირის საბჭომ აირჩია საორგანიზაციო კომისია ბაქოში მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციების ყრილობის მოსაწვევად. ყრილობის მიზანია: მ. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ერთ მთლიან რესპუბლიკად გაერთიანება. კომისიამ გადასწყვიტა გაეგზავნოს თავის წევრები განჯაში, თბილისში და ერევანში მომავალი ყრილობის მოსამზადებელ მუშაობისთვის. ყრილობას მოიწვევენ დაახლოებით 15 მარტს.

სამუსულმანო საქართველო

მიტინგი სოფ. ქედაში
(ქვედა აჭარა)

პარასკევს, იანვრის 31 ს. ქედაში მოწვეული იყო დიდი მიტინგი. მიტინგის მიზანი არსებული პოლიტიკური მდგომარეობის გაცნობა-გათვალისწინება იყო. ქ. ბათომიდან სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარე მემედ ბეგ აბაშიძე კომიტეტის წევრებისა და სხვა და სხვა უბნების წარმომადგენლების თანხლებით გაემგზავრა.

მოგზაურნი საუზმისათვის აჭარის წყალზე შეჩერდნენ. ამ დროს ავტომობილით რამდენიმე ინგლისელ ოფიცრებმა ჩამოიარა აჭარის წყალზე და ქედას გაემგზავრნენ. ქედიდან მალე უკან დაბრუნდნენ. შეჩერდნენ აჭარის წყალზე და ეტლებით მოსულთა მეთაური მოითხოვეს, როცა მიუგეს, მეთაური ჩვენ არაავინ გვყავსო—მემედ ბეგ აბაშიძე მოიკითხეს. იგი წარუდგა.

გაიმართა შემდეგი ლაპარაკი:

ინგ. ოფიცერი. თქვენა ხართ მემედ ბეგ აბაშიძე.

მ. ბ. აბაშიძე. მე გახლავართ.

ინგ. ოფიცერი. ეტლით მოსულ პირთა უფროსი თქვენა ხართ.

მ. ბ. აბაშიძე. ჩვენ უფროსები არა გვყავს ყველანი თანასწორნი ვართ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგ. ოფიცერი. სად მიდიხართ.

მ. ბ. აბაშიძე. მივდივართ ქედაში მიტინგში მონაწილეობის მისაღებად.

ინგ. ოფიცერი. იცით თქვენ, რომ გენერალ-გუბერნატორის მიერ მიტინგები ნება დართული არაა, ვინაიდან ომიანობის ხანაა და ასეთი მიტინგები არევ-დარევას და ანარქიას გამოიწვევს ხალხში.

მ. ბ. აბაშიძე. ეს კი არ ვიცოდი... ახლოლოდ ახლა გავიგე. მე კი მეგონა თავისუფლების დამცველი დიდი ბრიტანელი მიტინგებს არის დროს არ აკვიკრძალავდა, ვინაიდან ჩემის აზრით ბრიტანელი მიტომ იყო დიდი, რომ ასეთი მიტინგებით და თავისუფლების პრინციპის აღიარებით მოიზიდა ხალხი და არა ძალით.

ინგ. ოფიცერი. აბა, წავიდეთ. და გამოამგზავრეს ისინი უკანვე ბათომისაკენ.

მოიყვანეს თუ არა ქალაქში მ. ბ. აბაშიძე ეგრეთ წოდებულ საკომენდატოში გაამგზავრეს. მას უთხრეს აქ გენერალი (ე. ი. გუბერნატორი) მობრძანდება და მას უნდა დაუცადოთო. გავიდა რამდენიმე ხანი და შამოვიდა გენერალიც.

გენერალი დაბრძანდით.

თქვენ ბრძანდებით პრეხს აბაშიძე.

მ. ბ. აბაშიძე. დიაღ, მე გახლავართ.

გენერალი. კომიტეტის თავმჯდომარე თქვენა ხართ?

მ. ბ. აბაშიძე დიაღ.

გენერალი მიტინგზე რად მიდიოდით

მ. ბ. აბაშიძე. მოგახსენებთ. ხალხში შუშაობს ბნელი ძალები. ეს მუშაობა ხალხს ცუდ რამეს უქადის. მე არ მსურს, ჩემს ხალხს რაც ორჯერ თავს დაატყდა, კიდევ გამეორდეს. იმ ორ გარემოებამ აჭარა გაანახევრა და ოთომის გაანადგურა კიდეც. მე მინდა ჩვენი ხალხის კეთილდღეობა. მიტინგზე იმ აზრით მივდიოდი, რომ ხალხისათვის ამეხსნა საქმის ვითარება, მეჩვენებინა მათთვის ვინაა მისი მტერი; დამენახვებინა, თუ როგორ საფრთხეს უმზადებს მათ ის ბნელი ძალები, რომელნიც იქ მუშაობენ.

გენერალი იცით თქვენ ვინ მუშაობს აჭარაში და რა მიზნით?

მ. ბ. აბაშიძე. ვიცი. აჭარაში თაეგადელებით მუშაობენ დარჩენილი თურქები. მათი ხელმძღვანელი არიან შევქედ ფაშა და ხალილ ბეი. ესენი არაფერს ერიდებიან, რომ აჭარას თურქოფილური ორიენტაცია მიაღებინონ და ოსმალები ხელ-ახლა დააბრუნონ აჭარაში. მე მსურდა მესარგებლა მიტინგით და ხალხი დამერწმუნებინა, რომ ოსმალეთი აღარ არსებობს, იგი მოკვდა აჭარისათვის და შევქედ ფაშას და ხალილ ბეის ავანტიურას არ გაყვნენ,— თავი არ დაიღუპონ. ერიდონ, რომ მესამედ არ მოხდეს ის, რაც ორჯერ მოხდა და თუ გამეორდა აჭარის აღარაფერი დარჩება. მე მიყვარს ჩემი ხალხი და მინდა მისი სიცოცხლე.

გენერალი. მე ეს არაფერი ვიცოდი.

მ. ბ. აბაშიძე. მიყვირს! მოგახსენებთ ერთ რამეს. ჩვენ რედაქციაში „სამუსლიმანო საქართველო“ ერთხელ მოსულა თქვენი სახელით ერთი კაცი და უთქვამს: „შევქედ ფაშა და ხალილ ბეი კაი კაცებია და გზებში მათზე ცუდი არაფერი დასწეროთო“. ვწუხვარ, რომ პირადად მე არ დაუხვდი, თორემ გაულახავს არ გაუშვებდი აბა, ეს რას ნიშნავს?

გენერალი გარწმუნებთ, მე სულ სხვა ცნობები მომდიოდა. შემდეგში მოვაწყოთ საქმე ისე, რომ აჭარის შესახებ სწორი ცნობები მომდიოდეს.

თქვენ მითხარით, სად არის ბუდე იმ ალეხისა, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ?

მ. ბ. აბაშიძე ხულოში.

გენერალი. იცით თქვენ, რომ ყარსში ჩვენი (ინგლისის) ჯარი შევიდა. თურქებს აწი არასად გასაქანს არ მისცემენ და ისინი იძულებულნი იქნებიან მუშაობა მიატოვონ?

მ. ბ. აბაშიძე. მათი მუშაობა აჭარაში იქამდე არ შეწყდება, სანამ უკან ჩამორჩენილ თურქების ჯარისგან აჭარას არ გასწმენდთ. ამას გარდა ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ ბევრი თურქის სამხედრო პირთაგანი გადაცმულია და აჭარაში ცხოვრობენ ვითომც ადგილობრივი არიან. ისინი მუდამ წყლის ამღვრეველნი იქნებიან, რომ თევზები იჭირონ.

გენერალი. სამწუხაროდ გემები არ იყო მათთვის თავისუფალი. აწი კი იქნება ზომები მიღებული. ერთი მითხარით, თქვენ რა გსურთ?

მ. ბ. აბაშიძე. მე მსურს ჩემი ხალხის კეთილდღეობა. მისი კეთილდღეობა კი მხოლოდ საქართველოსთან შეერთებით შეიძლება და კიდევაც ასე უნდა მოხდეს, წინაალმდეგ შემთხვევაში აჭარა დაიღუპება და მე ამას არ ვიზამ.

გენერალი. როგორ!!? თქვენ ქართველთან შეერთება გინდათ?

მ. ბ. აბაშიძე. დიაღ, დიაღ. აჭარა საქართველოს უნდა შეუერთდეს უმისოდ მას სიცოცხლე არ შეუძლიან. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩემი სიტყვები ჭეშმარიტებაა. მე მთელი აჭარის მიერ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრად ვარ არჩეული და გაგზავნილი და იცოდეთ, რომ მე ტყუილს არ გეტყვით არასოდეს.

გენერალი. ნაშ კარგი... ასლან ბეგ აბაშიძე რა არის თქვენი?

მ. ბ. აბაშიძე. ძმა.

გენერალი. სად არის ეხლა, ან რა სამსახურშია?

მ. ბ. აბაშიძე. საქართველოს რესპუბლიკის პოლკოვნიკია. ცხოვრობს ოზურგეთში.

გენერალი. რამდენი ჰყავს ჯარი.

მ. ბ. აბაშიძე. მას მხოლოდ აჭარლებისგან შემდგარი ჯარი ჰყავს. 520 კაცამდეა ჯერ-ჯეროობით; თან და თან ემატება კიდევ.

გენერალი. ამბობენ, რომ ვითომც აჭარაში ქართველი ჯარის ნაწილი 300 კაცამდე გადმოვიდაო. გაქვთ თუ არა თქვენ ამის ცნობა.

მ. ბ. აბაშიძე. მე ამის ცნობა არა მაქვს, მაგრამ შესაძლებელი კია. ვინაიდან შევქედ ფაშისა და ხალილ ბეის წყალობით ქართველებს რამდენიმე გზა აბნეული აჭარელი ასკერებითურთ თავს დაესხა და ქართველებიც მათ საწინააღმდეგო ზომებს მიიღებდნენ. დამცველები დამარცხდებოდნენ და ქართველები უკან დაედევნებოდნენ.

გენერალი. თქვენ წარმოიდგინეთ იმისა, რაც თქვენ მითხარით მე არაფერი ვიცოდი. უნდა ვეცადოთ, რომ სწორი ცნობები მქონდეს. მე ჩემის მხრივ ყოველივე ზომებს მივიღებ და თქვენ უნდა დამეხმაროთ საქმის ვითარების სისწორით შესწავლაში და მით მომცემთ საშუალებას, რომ აჭარაში სიმშვიდე აღვადგინო, ხომ ჰხედავთ თქვენაც როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარედ დიდი ძარცვა-გლეჯა ხდება. ამას ბოლო უნდა მოეღოთ.

მ. ბ. აბაშიძე. თუ თქვენ გნებავთ ძარცვა-გლეჯის ბოლო მოეღოთ მე დაგისახელებთ კაცს. დანიშნეთ მილიციის უფროსად და თუ რაიმე ამგვარი მოხდება, პასუხის მგებელი ჩვენ ვიქნებით. რაც შეეხება თქვენს თხოვნას ჩემის დახმარების შესახებ, მე დაგეხმარებით იმდენად, რამდენადაც თქვენ შეგამჩნევთ აჭარის საკეთილდღეოთ მუშაობას და ჩვენი იდეის განხორციელებაში ხელის შეწყობას.

გენერალი. ახლა მშვიდობით. შემდეგ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და მოვილაპარაკოთ. იყავით კარგად.

ასე დამთავრდა ს. ქედაში მიტინგის ამბავი. ყოველივე ამის შემდეგ გამოითქვა აზრი საინფორმაციო ბიუროს დაარსებისა „სახ.“.

კორესპოდენცია.

ზემო იმერეთი. აქაური მცხოვრებლების ყოფაცხოვრება სავალალო და დამაფიქრებელს სურათს წარმოადგენს. 1914 წ. დღემდი, როცა დაიწყო მსოფლიო ომი, ჩვენი ცხოვრება ცხოვრებას არაჰგავს. სიძვირემ პირველ ყოვლისა იჩინა თავი ყველგან, ყოველ წრეში. მოუსავლიანმა წლებმა ხომ ხელი მოგვითავა. რუსეთის მხრით შიმშილობის დროს დიდს დახმარებას ელებულობდით, პურით და სიმინდით, ახლა ხალხი დარჩა ჩვენი ქვეყნის ამარა. აქეთ სიმინდი არც სხვა კარგ პირებში გვყოფნიდა, რადგან ბევრს აღაგას—მთაგორაკებში—სიმინდი არ მოდის, ან ნაკლებია. უმთავრესს სახსარს ცხოვრებისა შეადგენდა და შეადგენს დღესაც აქაურებისათვის ღვინო. ღვინოს ყიდდენ და იმის საფასურით ქვემო მხრიდან სიმინდს ყიდულობდენ; ხოლო ქვემოც თუ ნაკლები მოსავალი იქნებოდა სიმინდისა, მაშინ ჩრდილო კავკასიიდან ეზიდებოდენ ხელ საყრელ ფასებში. ასე რომ ამ მხრივ გაჭირვებას ჩვენებურები მაინცა და მაინც არად იმჩნევდენ. როცა ადარც აქ იყო და არც სხვიდან შემოზიდვა მოხერხდა ჭირნახულისა, მაშინ ხალხმა უკიდურესს საშუალებას მიმართა: იაპონური სოია, (ქვა ძაძა) დიდს მოსავალში იყო. წინეთ თუ საქონელს ბ შინაურ ცხოველებს აპურებდენ ამ მცენარის თესლით, ახლა ადარც ხალხი მოერიდა და საკვებად ის გახადა. როცა ძაძაც გაძვირდა, მერმე ლობიოს მიაგნეს: მასაც ჭადის სიმინდივით ფქვავდენ და აკეთებდენ საჭმელს. ამავე დროს ხილსაც დაეძალა ხალხი, რომ როგორმე შიმშილისაგან თავი დაეხწია. მაგრამ, მოგეხსენებათ, ასეთს საზრდოობას რა მოსდევს, ეს ნახევრად შიმშილი, კუჭის გამოუძლებლობა და სნეულება.

ახლა სამოსს არ იკითხავთ? ჩითისა, ირდუღ მიტკლისა და შალეულობის ფასი ყველგან საზღაპრო შეიქნა, ყველაფერს ცეცხლი ეკიდა, გასაქანი არსაით იყო.

ერთ მშვენიერს დღეს ვაჭრებს უბრძანეს: ერთს დაწესებულ ნიხრში გაჰყიდეთ რაც რომ მებადოსთ ფართლეულებაო და, მართლაც, ორი დღის განმავლობაში დუქან სავაჭროებში სრულიად დაცარიელდა. სპეკულიაციამ ამ დროს იჩინა თავი. ზოგი ვაჭარი იძულებული გახდა მოფარებულ აღაგას გადაენახა ფართლეული და ზოგი მუშტარი ისეთი ჩახერხებული გამოდგა, რომ თოფობით შეიძინა რაც უნდოდა. ასე რომ ვაჭრებათ გადაიქცენ მსხვილი ვაჟ-ბატონები და თავიანთ ნავაჭრს გამომყიდველებს აძლევდენ ხელ მეორეთ და ისინიც ყიდულობდენ მაზანდის მიხედვით რამდენათაც შესაძლებელი იყო. როცა ასეთი კომბინაციით სავაჭრო სრულიად გაქრა და ბაზარზე აღარა სჩანდა, მერმე ისევ სხვა ხერხს მიმართეს ჩარჩებმა: მიდიოდენ თფილისს, ყიდულობდენ ნაცვამს, მოქონდათ აქაურ დაბა ქალაქში და ყიდდენ მამასისხლად. ჯერ დიდ გასავალში იყო სამხედრო კუთვნილება: „პალატკები“, შინელები, ჯარის კაცის საცვლები, მათივე ჩექმები წაღები და, როცა ესენიც შემოელია მერმე ნაცვამ-ნამკვდრები და ნაჭირვალი გამოიტანეს. რეცხდენ და გამოქონდად ბაზარზე გასასყიდად. ამის შედეგი იყო იგივე ნამეტანი ფასის აწევით ხალხის გაკოტრება და მერე, რაც ყველაზე უფრო უბედურებაა, სნეულება, გადამდები სენიანების ნაცვამი სამოსის ჩაცმით.

შარშან და წარეულს ავადმყოფობამ ხომ მუსრი გაავლო ყველას. ჯერ იყო და „ისპანკა“ მოედვა [illegible] ოჯახი რომ არ [illegible] ავადმყოფი. პირველ ხანებში ამ სენს „ითომ მოდურ სენათ“ ნათლავდენ და არავის ეშინოდა მისი. „ახალი ავადმყოფობაა, ბატონო და საშიში არაა, ჩქარა მორჩებაო“ გეტყოდენ აქა იქა, მაგრამ როცა ამ სენმა ყველა ჩაითრია და ნამეტურ სოფლად დიდი ზარალი ქნა, ამოწლიტა ხალხი, რადგან სერიოზულ სნეულებად არავის მიაჩნდა და საშუალებას ნაკლებად ხმარობდენ იმის ამოსაფხერელად, მერმე კი საგონებელში ჩავარდა ყველა და თავზე მოისვა ხელი „ისპანკამ“ როცა იჯერა გული მერმე მოედვა ხურვება, საყარი სახადი, რომელმაც დიდათ შოსდვა ხელი ყველას და მრავალიც იმსხვრეპლა. მიცვალებულთა კუბოს კეთებას და დასაფლავებას ველარ ასწრებდენ. დღესაც, როცა ამ წერილს ვსწერთ, ეს სენი უფრო და უფრო სისასტიკეს იჩენს და ლამის ცოცხალი არავინ გაუშვას, ისიც იმ დროს როცა სიცივეა და ექიმწამლის შოვნა მხოლოდ მდიდრებთათვისაა ხელ მოსაწყობი, თორემ ღარიბ-ღატაკნი უბრალო საშუალებასაც მოკლებულნი.

აი ასეთს კრიზისის, დროს დამფუძნებელი კრების არჩევნების ქარ-ცეცხლია მოდებული და მთელი ყურადღება ამან ჩანოქა. განა არაა საყურადღებო! აქედან ედება, ეყრება სარძიკველი ჩვენი სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და თუ მტკიცე არ იქნა იგი მაშინ „კედლების აშენებისთვის ხომ ყოველი შრომა დაკარგულია.“

სოციალ დემოკრატია შეიარაღდა თავიდან ფეხებამდი და თავდაუზოგველად, ეწევა საარჩევნო-კომპანიას. მინისტრები, პარლამენტის წევრები ამოკაპიწებულნი კალიასავით მოედვენ „დაბებსა და სოფლებს“, ხალხს პირდებიან სამოთხეს, ოქროს მთებს, მაგრამ, თქვენს მტერს, ჩვენი სოციალისტების მიზანი მხოლოდ ერთია: ხალხს თავში მოექცენ და სხვა არაფერი, რამდენიც აქამდი გამოკვებეს, შემოსეს, გაანათლეს, გაუიაფეს ცხოვრება, ხალხს, იმდენი აწი იქნება.

გარეშემო მტრების სისინმა და ხმლის ლესვამ ჩვენზე ჩვენებურები ძრიელ დააფიქრა, რამდენს ერთს გადაურჩება საცოდავი ჩვენი ერი. სიმშილს, სიტიტვლეს, სნეულებას, გარეშე თუ შინაურ მტერს!..

დროა ყველა კარგად, საღად ჩაუკვირდეს ცხოვრებას და ხალხის ბედ-უბედობის ჩარხი წალმა გადმოატრიალონ, თორემ როდესაც იქნება ის ხალხი თვალს გამოახელს და იცნობს თავის მტერ მოყვარეს.

საჭიროა კვლავინდებურად რომ არ დაიმშეს ხალხი, წინ და წინვე მიიღონ ზომა საზრდოს მიწოდების საქმეში და ეს მაშინ იქნება როცა სულით და გულით ხალხს სამსახურს გაუწევენ და არა „პროდოვოლსტვენი კომიტეტების“ მეთხებით.

მკურნალობის საქმე უკეთ უნდა მოეწყოს. უნდა გაიხსნას ქსენონები და ექიმები დაგზავნონ ყველგან უბრალო ლექციები მაინც წაუკითხონ ხალხს როგორ გადაარჩინონ თავი „სნებისაგან“.

ძ. გრძელი.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

ეროვნულ-დღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

„საქართველო“

1919 წ. წელიწადი მეხუთე 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.

მისამართი: თფილისი, სასახლის ქუჩა, № 5), (ქართული ქარვასლა).

ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამისთვის: თფილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

ბეჭდავს „ძმობა“ პუშკინის ქუჩა სახლი გოკელისა ქუთაისში